თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ამერიკელი სომელიეები ქართულ ღვინოს ეცნობიან

მე-2 გვერდზე

ქუთაისელი მედიკოსები ნათელა ციბაძის საოჯახო ალბომიდან

მე-3 გვერდზე

№7 (769) 17 - 23 ივლისი, 2017 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

ვის არ ეყოლება მერობის კანდიდატი ქუთაისში

პარტიების წინასაარჩევნო სამზადისი გრძელდება

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ქუთაისის პოლიტიკური სპექტრი აქტიურად ემზადება. თუმცა ჯერჯერობით ოფიციალური განცხადებების გაკეთებას მერის შესაძლო კანდიდატურასთან დაკავშირებით ან პარტიული სიის პირველი ათეულის შესახებ, მაინც ერიდებიან და აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე კონსულტაციების რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა. რაც შეეხება ხედვას, ქუთაისის განვითარების შესახებ, ისინი თავიანთ პროგრამებში წარმოადგენენ. ჩვენ გაზეთის წინა ნომერში გიამბეთ რამდენიმე პარტიის წინასაარჩევნო სამზადისის შესახებ. ამჯერადაც ვაგრძელებთ პარტიების ქუთაისური ოფისების წინასაარჩევნო საქმიანობის გაცნობას:

თავისუფალი დემოკრატების ქუთაისის ოფისს ჯერჯერობით ქალაქის მერის კანდიდატურა არ დაუსახელებია, თუმცა, პარტიის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ თავისუფალ დემოკრატებს ქუთაისის მერობის კანდიდატი აუცილებლად ეყოლებათ.

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი გოგი წულაია ჩვენთან საუბარში აცხადებს: „ჩვენ ველოდებით იმ ცვლილებას, რომელიც ითვალისწინებს, ქალაქის მერად დასახელებული პირი იყოს პარტიულ სიაშიც პირველი. ასეთ შემთხვევაში, დიდი ალბათობით მე ვიქნები დასახელებული. რაც შეეხება პარტიულ სიას, ჩვენ ქუთაისში დიდი ფულადი და ადამიანური რესურსი არ გვაქვს. თუმცა, არსებობენ ადამიანები, რომლებიც პარტიული სიის პირველ ათეულში მოაზრებიან. აქვე გეტყვით, რომ ეს საკითხებიც კონსულტაციების ეტაპზეა. რაც შეეხება, ჩვენს სამომავლო გეგმებს ქალაქთან მიმართებაში, მის თვითმმართველის სტატუსის და ფუნქციურ შენარჩუნებას ეხება. ამ ქალაქის მთავარი პრობლემა ის არის დღეს, რომ არ ყავს თვითმმართველობა და რაც გვყავს, ეს ბუტაფორიაა. მე ვიბრძოლებ იმისათვის, რომ ქუთაისი იყოს დამოუკიდებელი და შეძლოს, თავად განკარგოს შემოსავალიც და გასავალიც. ქუთაისი იყო პირველი ქალაქი ამ ქვეყანაში და სამათხოვრო არაფერი არ აქვს, ის ხელგაწვდილი არ უნდა ითხოვდეს ცენტრალური ხელისუფლებიდან დამატებით თანხებს. ქუთაისი უნდა გახდეს ისეთი თვითმმართველი ქალაქი, რომ თითოეულმა ქუთაისელმა ღირსეულად თქვას - მე ვარ ქუთაისელი!“

* * *

ჯერჯერობით აზრთა შეჯერება და კონსულტაციები მიმდინარეობს **მმართველ პარტიაშიც.** ჯერ ოფიციალურად არ დაუსახელებიათ კანდიდატი, ვინც ქუთაისის მერობისთვის იბრძოლებს. როგორც პარტიაში აცახდებენ, ეს აგვისტოს დასაწყისში გახდება ცნობილი. პარტია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია ამბობს: „ნუ გავასწრებთ მოვლენებს და დაველოდოთ ოფიციალურ წარდგენას. სიასთან დაკავშირებით კი მიმდინარეობს სამუშაო პროცესი და სავარაუდოდ, მათი ვინაობა ცნობილი გახდება კანდიდატის დასახელების შემდეგ. გეტყვით, რომ პარტია „ქართული ოცნების“ კანდიდატი ორიენტირებული იქნება ქალაქის განვითარებაზე და ხალხის კეთილდღეობაზე.

* * *

“რესპუბლიკური პარტიის" ქუთაისის ოფისში, როგორც პარტიის წევრი გიორგი ხურციძე აცხადებს, ამ ეტაპზე გუნდთან ერთად მიმდინარეობს აღნიშნული საკითხების განხილვა.

* * *

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადებიან **მრეწველებიც.** ქუთაისში ისინი კვლავ "ქართულ ოცნებასთან" ერთად გაერთიანდებიან და დამოუკიდებელ კანდიდატს მერის თანამდებობის დასაკავებლად არ დაასახელებენ. ამ ფაქტს ადასტურებს ფრაქცია მრეწველების წარმომადგენელი ქუთაისის საკრებულოში ვიქტორ დოლიძე. ის ამბობს, რომ მათ მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი არ ეყოლებათ. ხოლო რაც შეეხება პარტიული სიის ათეულს, არც ამ სიას განიხილავენ აქტიურად, რადგან ისინი მმართველ პარტიასთან ერთად მოიაზრებიან. სავარაუდოდ, "ქართული ოცნების" პირველ ათეულში ერთ-ერთი მრეწველების კანდიდატიც იქნება შესული. თუმცა ქალაქის განვითარების ხედვა მრეწველებს მმართველი პარტიისგან განსხვავებული აქვთ. „განსხვავებულია საკრებულოშიც ჩვენი ხედვა და არის აზრთა ჭიდილი გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ, შევაჯეროთ საკითხები. ვმსჯელობთ და გავდივართ კონსულტაციებს. ჩვენ საკრებულოს სხდომებზე ბევრს არ ვსაუბრობთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა საკითხში ვეთანხმებით მმართველ გუნდს" - აცხადებს ვიქტორ დოლიძე.

* * *

არც პარტიული სიის პირველი ათეული და არც მაჟორიტარები ჯერ არ შეურჩევიათ **ბურჯანაძე-დემოკრატებს**. საბოლოო გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, სექტემბრამდე არ იქნება გარკვეული. პარტიის ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელი დავით წიტაიშვილი კანდიდატების სანდოობაზე ამახვილებს ყურადღებას. “ვეცდებით, შევარჩიოთ ისეთი კანდიდატები, ვისაც კვალი გაუვლია ქუთაისის მშენებლობაში და ენდობა მოსახლეობა, გავცეთ ისეთი დაპირებები, რაც შესრულებადია და გამოადგება ქალაქს: - ქალაქის სტატუსის განსაზღვრა, რაც, სამწუხაროდ, ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, სამუშაო ადგილების შექმნა იმ მცირე საწარმოების სახით, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებასთან იქნება დაკავშირებული, თავისივე სასაწყობე მეურნეობებით, რაც უნდა განთავსდეს ქუთაისში, იმერეთის სოფლის პროდუქტებისათვის, ტურიზმის უფრო ფართო მასშტაბების ხელშეწყობა, რისთვისაც ინფრასტრუქტურის აუცილებლად და დროულად მოწესრიგებაა საჭირო, რეალური თვითმმართველობის ამოქმედება და სახელმწიფო ბიუჯეტის გონივრულად, რაციონალურად ხარჯვა.“

* * *

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, პოლიტიკურად ცხელი აგვისტო ელოდება პოლიტიკური პარტიების რეგიონულ ოფისებს. საარჩევნო ვადებიდან გამომდინარე, მათ ამ დროისთვის უნდა დაარეგისტრირონ ქუთაისის მერობის კანდიდატები, მაჟორიტარები და შესაბამისად, პარტიული სიის პირველი ათეულიც უნდა დაასახელონ.

მარი ტაბიძე

PS news.ge
ISSN 1987-7056
9 771987 705004

იუსტიციის სახლი შსს-ს მომსახურების სააგენტოს სერვისების გაცემის სტატისტიკას აჯამებს

იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში შსს სერვისების მოთხოვნის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. მხოლოდ ორი თვის განმავლობაში იუსტიციის სახლებში 3 200-ზე მეტი ნასამართლობის შესახებ ცნობა გაიცა.

იუსტიციის სახლში შსს-ს მომსახურების სააგენტოს სერვისი - ნასამართლობის შესახებ ცნობა 3 მაისიდან გაიცემა. სერვისით სარგებლობა მოქალაქეებს საქართველოს მასშტაბით იუსტიციის სახლის 19 ფილიალსა და მომსახურების სააგენტოების ტერიტორიულ ერთეულებში შეუძლიათ.

სერვისის მისაღებად საჭიროა მოქალაქემ წარადგინოს მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ნასამართლობის შესახებ ცნობას განაცხადის შევსებიდან ხუთ სამუშაო დღეში უფასოდ მიიღებს. დაჩქარებული წესით, 1 სამუშაო დღეში ცნობის აღების საფასური 25 ლარია, ხოლო 3 სამუშაო დღეში - 15 ლარი.

იუსტიციის სახლსა და მომსახურების სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ეტაპობრივად, შსს-ს მომსახურების სააგენტოს კიდევ 14 სერვისი დაინერგება. მათ შორისაა: განმეორებითი მართვის მოწმობის გაცემა, დაკარგული ან დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის აღდგენა, ასევე ცნობების გაცემა სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, პირის მსჯავრდების, იარაღის სამართლებრივი მდგომარეობისა თუ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ და სხვ.

თვითმმართველობის არჩევნების ჩასატარებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 39 მილიონი ლარია გამოყოფილი

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩასატარებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 39 მილიონი ლარია გამოყოფილი. როგორც "ინტერპრესნიუსს" ცესკო-ს სპიკერმა ანა მიქელაძემ განუცხადა, აღნიშნულ თანხაში სხვადასხვა ტიპის ხარჯები შედის, რომლებიც არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებას ეხება.

"ამ თანხაში შედის არჩევნების მოსამზადებელი ხარჯები, მოხელეთა მომზადება-გადამზადება, საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯები, რაც დაახლოებით ორი მილიონი ლარია, ასევე, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების დაფინანსება, რაც 7 მილიონი ლარის ფარგლებშია, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, ცესკო-ს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა და ცესკო-ს აპარატის თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურების ხარჯები. კავშირგაბმულობის, კომუნალური, ტრანსპორტირების, ბეჭდვასთან და ინვენტარის შეძენასთან დაკავშირებული თანხები და სხვადასხვა ტიპის ხარჯები", - განმარტა ანა მიქელაძემ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამოყოფილი თანხა - 39 მილიონი ლარი თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტურის ჩასატარებლად არის განსაზღვრული, მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში კი, კალკულაცია ხელახლა მოხდება. ხარჯი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ოლქში დადგება მეორე ტურის ჩატარების საჭიროება. დაფინანსების გეგმა ფინანსთა სამინისტროს წარედგინება და ამის შემდეგ, მეორე ტურის ჩასატარებლად საჭირო თანხა გამოიყოფა.

ამერიკელი სომელიეები ქართულ ღვინოს ეცნობიან

ამერიკელი სომელიეების ჯგუფი საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით ეწვია, რომლის ფარგლებშიც ღვინის პროფესიონალები ღვინის საწარმოებს სამეგრელოში, იმერეთში, ქართლსა და კახეთში მოინახულებენ. ვიზიტი ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით განხორციელდა. სტუმრებმა უკვე დააგემოვნეს დასავლეთ საქართველოს ღვინოები და ამჟამად კახეთში იმყოფებიან. ღვინის პროფესიონალების ჯგუფს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანია „Marq Energie"-ის მმართველი ჯული პეტერსონი (Julie Peterson) ხელმძღვანელობს.

„აქ იმყოფებიან წამყვანი რესტორნების წარმომადგენლები და გვინდა წარვუდგინოთ მათ არაჩვეულებრივი ქართული ღვინის გარემო. აშშ-ში გასულ წელთან შედარებით, ქართული ღვინის ექსპორტი 43%-ით გაიზარდა. ჩვენ გვინდა განვაგრძოთ ბაზრის წარდგენა ყველა მწარმოებლისთვის, მოგვყავს იმპორტიორები, მედიის წარმომადგენლები. ამ ჯგუფის წევრებმა, რომელშიც არიან სომელიეები ჩიკაგოდან, სენტ-ლუისიდან და ნიუ-იორკიდან, არაჩვეულებრივი კვირა გაატარეს, მიიღეს ინფორმაცია ქართული ყურძნის ჯიშების მრავალფეროვნებაზე, გაიცნეს მწარმოებლები. ველოდებით კვირის დარჩენილი დროის ასევე საინტერესოდ გატარებას. ჩვენ გვაქვს სხვა სომელიეების სია, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ ჩამოვიდნენ საქართველოში და ნახონ რა ხდება აქ ღვინის სფეროში" - აღნიშნა ჯული პეტერსონმა.

ნიუ-იორკის ერთ-ერთი რესტორნის სომელიე ჯეიმს სლაი განსაკუთრებით ალადასტურით მოიხიბლა. იგი აცხადებს, რომ დიდი ხანია სურდა საქართველოში ჩამოსვლა და ქართული ღვინოების ადგილზე დაგემოვნება.

„ღვინოს საქართველოში უძველესი ტრადიციებით აწარმოებენ და გარდა ამისა, შეაქვთ სიახლეები ამ ტექნოლოგიაში. სწორედ ამან შთამაგონა აქ ჩამოსვლა. ქვეყნაში მოგზაურობამ თბილისიდან იმერეთში და შემდეგ კახეთში, საშუალება მომცა გამეგო მრავალფეროვნება რეგიონებისა და კლიმატის მიხედვით, რაც ღვინოებს განსხვავებულს ხდის. დასავლეთის ღვინოები მსუბუქი და ცოცხალია, აღმოსავლეთის კი უფრო ძლიერი. ამან შესაძლებლობა მომცა დამენახა ქართული ღვინო სხვა კუთხით, არა როგორც ერთფეროვანი პროდუქტი, არამედ განსხვავებული შესაძლებლობებისა და არომატების ერთიანი სპექტრი. მიუხედავად იმისა, რომ 30 ქართული ღვინო მქონდა დაგემოვნებული ნიუ-იორკში, აქ ჩამოვედი და ბევრი ახალი ღვინო გავსინჯე, მაგალითად, იმერეთში ალადასტური - ვერ ვიჯერებდი რასაც ვაგემოვნებდი, ასეთი რამ ჯერ არ გამისინჯავს, არც ქართული და არც სხვა ქვეყნების ღვინოები" -აღნიშნა მან.

ამერიკელ სომელიეებს ტურის ფარგლებში შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობდნენ შემდეგ ღვინის კომპანიებს: „იაგოს ღვინოები", „შატო მუხრანი", „რამაზ ნიკოლაძის ღვინოები", "საოჯახო მარანი - ოდა", „ვარციხის მარანი", „მეღვინეობა ხარება - იმერეთი", „თელავის ღვინის მარანი", „ჭოტიაშვილის ღვინის მარანი", „შუხმანის ღვინოები", „ორგო/ვიტა ვინეა", „შალაურის მარანი", „შუმი", „ჩელთი", „ფაფრის ველი", „ჯონი ოქრო", „ხოხბის ცრემლები", „ასკანელი ძმები", „შავნაბადა", „ლუკასი", ასევე ეწვივნენ მექვევრე ზაზა კბილაშვილს.

აშშ წარმოადგენს ქართული ღვინის ერთ-ერთ პოტენციურად მზარდ და მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზარს. ამ ქვეყანაში აქტიური მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას აშშ-ს ბაზარზე და ზოგადად ქართული ღვინის საექსპორტო არეალის გაფართოებას. მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემებით, საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 176 274 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 43%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

კობა ლურსმანაშვილი:
2012 წლის შემდეგ ხარაგაულში პრემიები 260 ათასი ლარიდან 20 ათას ლარამდე შემცირდა

პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლის დროს, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გაცემულ პრემიებზე საუბრისას აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში 2012 წლის შემდეგ პრემიების ოდენობა შემცირდა. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაცემების მიხედვით, 2012 წელს პრემიები 260 000 ლარს წარმოადგენდა, ხოლო 2016 წელს არაუმეტეს 20 000 ლარისა", - განაცხადა ლურმასნაშვილმა.
ფაქტ-მეტრი ამ განცხადების სიზუსტით დაინტერესდა.

ჩვენთან საუბრისას დეპუტატმა დააზუსტა, რომ სხდომაზე გამოსვლისას არამარტო პრემიებს, არამედ დანამატებსაც გულისხმობდა. ამიტომ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამგეობასა და საკრებულოში დასაქმებულთა რაოდენობასა და მათზე გაცემულ ხელფასებსა და პრემიაჰდანამატებზე ინფორმაციის მოწოდება ვთხოვეთ. მუნიციპალიტეტის ბოლო 5 წლის ადმინისტრაციული ხარჯი ასეთ სურათს იძლევა:

ცხრილი 1.

წელი	თანამშრომელთა რაოდენობა	ხელფასი (ლარი)	პრემია/დანამატი (ლარი)	ხელფასისა და პრემია/დანამატის ჯამი (ლარი)
2012	155	745 191	207 559	952 750
2013	234	1 467 499	205 760	1 673 259
2014	262	1 747 980	161 980	1 909 960
2015	154	1 603 350	30 750	1 634 100
2016	159	1 746 798	21 850	1 768 648

თუ უფრო დეტალურად დავაჯამებთ, 2012 წლის შემდეგ ხარაგაულის გამგეობაში გაცემული ხელფასის ოდენობა ორჯერ და მეტად გაიზარდა - 601 671 ლარიდან 1 408 130 ლარამდე (234%), თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში გამგეობაში გაცემული პრემია/დანამატების რაოდენობა 176 479 ლარიდან 20 850 ლარამდე (321%-ით) შემცირდა.

იგივე ტენდენციაა საკრებულოში, სადაც 2012 წლის შემდეგ თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი 143 520 ლარიდან 338 668 ლარამდე გაიზარდა (236:), ხოლო პრემია/დანამატი 31 080 ლარიდან 1 000 ლარამდე შემცირდა.

საერთო მონაცემებით კი, როგორც ცხრილიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ გამგეობასა და საკრებულოში საგრძნობლად შემცირდა პრემია/დანამატების თანხა, მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა სარგოს საერთო ხარჯი არათუ შემცირდა, არამედ თითქმის ორჯერ გაიზარდა (952 750 ლარიდან 1 768 648 ლარამდე).

ამასთან, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად

კობა ლუესმანაშვილი

გაიზარდა გამგეობის დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობაც, შესაბამისად, ამ წლებში მოიმატა აქ დასაქმებულთათვის ხელფასის სახით ბიუჯეტიდან გასულმა თანხამაც, რის თაობაზეც ფაქტ-მეტრი გასულ წელსაც წერდა.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში 2016 წლისთვის პრემია/დანამატის საერთო ჯამი 2012 წლის მონაცემთან შედარებით შემცირდა (207 559 ლარიდან 21 850 ლარამდე, რაც თითქმის ემთხვევა დეპუტატის მიერ დასახელებულ რიცხვს), ამით არ შემცირებულა ადმინისტრაციული ხარჯი. პირიქით, ჯამში მან 2012 წლის შემდეგ თითქმის ორჯერ მოიმატა (952 750 ლარიდან 1 768 648 ლარამდე), რაც მუნიციპალიტეტის სახელფასო ფონდის ზრდის შედეგია. ამდენად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯის დასაფინანსებლად უფრო მეტი თანხა იხარჯება, ვიდრე ხუთი წლის წინ იხარჯებოდა.

ფაქტ-მეტრის დასკვნით, სრული კონტექსტის გათვალისწინებით, კობა ლურსმანაშვილის განცხადება არის **ნახევრად სიმართლე.**

ირმა ბახუტაშვილი
Factcheck.ge

ქუთაისელი მედიკოსები ნათელა ციბაძის საოჯახო ალბომიდან

უკვე მეორე წელია, ქუთაისში 8 ივლისს მედიკოსთა პროფესიული დღე აღინიშნება. წელს ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ქალაქის ბოტანიკურ ბაღში გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ მერიისა და გუბერნიის, ასევე, მოქმედი კლინიკების წარმომადგენლები. მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა იმერეთის გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ, ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ და სხვებმა.

სურათი 1

სურათი 2

სურათი 3

სურათი 4

მედიკოსთა პროფესიულ დღესასწაულთან დაკავშირებით, ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვისა და ამ სფეროში წლების მანძილზე გაწეული ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ღვაწლმოსილი ქუთაისელის საპატიო სიგელები გადაეცათ ცნობილ ექიმებს: ბადრი ალფაიძეს, ოთარ მეტრეველს, ვახტანგ დანელიას, დავით ჭაჭიაშვილს, ვერა ნოდიას, თენგიზ ლობჟანიძეს, გიორგი ბერეკაშვილს, მედეა კვარაცხელიას, ბორის ჩაკვეტაძეს, ამალია მარგველაშვილს, ნანა ძიძიგურს, შოთა ბოდოკიას, დარეჯან დეისაძეს, ამირან კოპალიანსა და მანანა კობულაშვილს.
ქუთაისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა სამ ექიმს: მაგული ჩხობაძეს, თემურ ნადირაძესა და ლერი ხონელიძეს.

ვულოცავ თითოეულ მათგანს და მინდა ამ დღეს გამოვეხმაურო ჩემს საოჯახო ალბომში დაცული რამდენიმე ფოტოსურათით. ისინი ეკუთვნის დედას, 86 წლის **ნათელა ციბაძეს**, რომელიც დღესაც სიამოვნებით იგონებს გარდასულ წლებს, როცა ექიმთა მრავალათასიანი კოლექტივი თავდაუზოგავად ემსახურებოდა და ქალაქის მოსახლეობას, მუშა-მოსამსახურეებს. დარწმუნებული ვარ, მათი გვარსახელების ჩამოთვლაც კი, ბევრს გაახსენებს მათ მოღვაწეობას, პროფესიონალიზმს, ადამიანობას, კეთილ საქმეებს. მათ ხომ წარუშლელი კვალი დატოვეს ქალაქის სამედიცინო სფეროს განვითარებაში. დღეს ყველა მათგანი ქუთაისის მედიცინის ისტორიის ნაწილი და კუთვნილებაა.

სურათები გადაღებულია 1981 წელს, ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში (ჯანგანი) მორიგი სამუშაო თათბირის შემდეგ.

პირველ სურათზე პირველ რიგში, მარცხნიდან: ტუბდისპანსერის ექიმი (გვარი უცნობია); ნათელა ციბაძე — №3 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებელი; მარი ლომთაძე _ქალთა №4 კონსულტაციის მთავარი ექიმი; გულისა ჩაჩავა — ბავშვთა სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარი ექიმი; უცნობი; თამარ სულაქველიძე — სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი; ლეილა შათირიშვილი — ბავშვთა მეორე პოლიკლინიკის მთავარი ექიმი.
მეორე რიგში, მარცხნიდან: ფიზიოთერაპიული საავადმყოფოს განყოფილების გამგე, გვარი უცნობია; ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, გვარი უცნობია; გენადი ჩირაძე — ბავშვთა №1 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი; ბესო ფიჩხაძე — №1 საავადმყოფოს ნევროპათოლოგი; ალექსანდრე (საშა) კვიტაშვილი_ქალაქის მთავარი რენტგენოლოგი; იოსებ (სოსო) გელოვანი — ქალაქის მთავარი გინეკოლოგი; შოთა დანელია — №1 საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ყოფილი ჯანგანის გამგე; კოტე გეგელაშვილი — ქალაქის მთავარი ნევროპათოლოგი; ოთარ ჩხობაძე_ავტოქარხნის მედსანნაწილის მთავარი ექიმი; მიხეილ (მიშა) კეთილაძე — №1 საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე.

მეორე სურათზე, სხედან, მარცხნიდან: ნათელა ციბაძე, მარი ლომთაძე, მიშა კეთილაძე, ოთარ ჩხობაძე, ლეილა შათირიშვილი, ლილი მელაძე — კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი.
დგანან, მარცხნიდან: მეორე ძოძუაშვილი — სასწრაფო სამედ. დახმარების მთავარი ექიმი; გენადი ჩირაძე; ფიზიოთერაპიული საავადმყოფოს განყოფილების გამგე, გვარი უცნობია; შოთა დანელია, ბესო ფიჩხაძე, გულისა ჩაჩავა.

მესამე სურათზე (10. 08. 1973) აღბეჭდილნი არიან, მარცხნიდან: თამარ კახიანი, თერაპევტი; ნიკოლოზ ნაცვლიშვილი — №3 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი; თინა ჭუმბურიძე, თერაპევტი; ნათელა ციბაძე, №3 პოლიკლინიკის თერაპიული განყოფილების გამგე.

მეოთხე სურათზე (07. 03. 1974), მარცხნიდან: გულნარა ნადარეიშვილი, თერაპევტი; ნიკოლოზ ნაცვლიშვილი; ნათელა ციბაძე.

ქეთევან ბახუტაშვილი

NDI-ის დელეგაცია საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადების პროცესს შეაფასებს

ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI), საქართველოში ოქტომბერში დანიშნულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დასაკვირვებლად, საერთაშორისო სადამკვირვებლო დელეგაციის ჩამოსვლის შესახებ განაცხადა. დელეგაციის ვიზიტის მიზანი საქართველოში დემოკრატიული პროცესებისადმი საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის დემონსტრირება და საარჩევნო პროცესებისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებაა.

დელეგაციის წევრები, რომლებმაც უკვე დაიწყეს თბილისში შეხვედრების გამართვა, არიან: იანუშ ონიშკევიჩი, პოლონეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი და პოლონეთის პარლამენტის ყოფილი წევრი; დევიდ კრამერი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და შრომის მიმართულებით; ქეთრინ ნუნი, ირლანდიის პარლამენტის ზედა პალატის თავმჯდომარის მოადგილე და ბავშვთა და ახალგაზრდობის საკითხთა წარმომადგენელი; ლორა თორნტონი, NDI-ის ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში; მარია ბაბიჩი, დამოუკიდებელი საარჩევნო ექსპერტი; მელისა მუსიო, NDI-ის პროგრამების უფროსი მენეჯერი საქართველოში, თურქეთსა და ცენტრალურ აზიაში და მაიკლ მაკნოლტი, NDI-ის არჩევნები და პოლიტიკური პროცესების პროგრამების უფროსი მენეჯერი.

17-21 ივლისის პერიოდში, ხელისუფლებასთან, საარჩევნო კანდიდატებთან, პოლიტიკური პარტიის ლიდერებთან, საარჩევნო ადმინისტრაციის, მედიის, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგად დელეგაცია არჩევნებისთვის სამზადისს, საარჩევნო პროცესის ძირითადი სუბიექტების პოლიტიკურ აქტივობებსა და ზოგადად საარჩევნო გარემოს შეაფასებს. NDI-ის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია საქმიანობას მიუკერძოებლად, პროფესიონალურად და საქართველოს კანონმდებლობისა და არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესაბამისად განახორციელებს.

21 ივლისს, NDI-ის დელეგაცია წინასაარჩევნო გარემოს შეფასების ძირითად დასკვნებსა და რეკომენდაციებს პრეს-კონფერენციაზე გამოაქვეყნებს. ანგარიშის გამოქვეყნებამდე დელეგაცია მედიასთან კომენტარს არ გააკეთებს.

სადამკვირვებლო დელეგაციას "ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის" (NED) და აშშ–ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) აფინანსებს.

ფეხბურთში 19 წლამდელთა ევროპის ჩემპიონობა ინგლისმა მოიპოვა

ფეხბურთში 19 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც საქართველოში მიმდინარეობდა, დასრულდა. ფინალური შეხვედრა გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე, ინგლისისა და პორტუგალიის ნაკრებებს შორის შედგა. მატჩი ინგლისის 19-წლამდე საფეხბურთო ნაკრებმა პორტუგალიასთან 2:1 მოიგო და ამ ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონობა პირველად მოიპოვა. შეხვედრა გორში ანშლაგით ჩატარდა და მატჩს 4 100 გულშემატკივარი დაესწრო.

მართალია, პორტუგალიასა და ინგლისს შორის გამართული მატჩი ინგლისის ნაკრებმა მოიგო, მაგრამ პორტუგალიასაც არ უნდა დაუკარგოთ კარგი თამაში. იგი ტოლსწორად ეთამაშა მეტოქეს. შეხვედრა ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობდა და ორივე გუნდის მონდომება შესამჩნევი იყო, თუმცა როგორც აღმოჩნდა, 15 ივლისს შეხვედრაში ძლიერი ინგლისი იყო. ანგარიში ინგლისელთა ცენტრალურმა მცველმა სულიმანმა 50 წუთზე გახსნა. თუმცა ექვსიოდე წუთში ანგარიში პორტუგალიელებმა გაათანაბრეს ინგლისელი სტერლინგის წყალობით, რომელმაც ავტოგოლი შეაგდო. ხოლო 68 წუთზე ანგარიში 2-1 ნმეჩამ დააფიქსირა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, საბოლოო გოლი იყო ამ შეხვედრაში. უნდა ავღნიშნოთ რომ პორტუგალიელები არ გატყდნენ და ბოლო ძალებიც მოიკრიბეს, რომ არა ინგლისელთა კიპერის ოსტატობა, 90 წუთზე ანგარიში აუცილებლად გათანაბრდებოდა.

ამრიგად, ინგლისის ნაკრებმა ამ ტურნირზე ორი ფინალური შეხვედრის წაგების შემდეგ მესამე ფინალში გაიმარჯვა და გაჩემპიონდა, რაც მისი პირველი ჩემპიონობაა. ასევე პორტუგალია სამჯერ დამარცხდა ამ ტურნირის ფინალში.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ჯგუფურ ეტაპზე შვედეთთან მოგებული მატჩით, ქულების რაოდენობითა და ბურთების შეფარდებით რვა მონაწილეს ნაკრებს შორის მეხუთე ადგილი დაიკავა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, რომელშიც უეფას ვიცე-გენერალური მდივანი კლაუდიო მარკეტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი და ევროპის ჩემპიონატის ელჩი ზურაბ ხიზანიშვილი მონაწილეობდნენ.

* * *

საქართველო ევროპის 19-წლამდე საფეხბურთო ნაკრებთა ჩემპიონატს 2 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით მასპინძლობდა. საუკეთესოს ტიტულისთვის, მასპინძელი საქართველოს ნაკრების გარდა, ინგლისის-,პორტუგალიის,ჩეხეთის,გერმანიის,ჰოლანდიის,ბულგარეთისა და შვედეთის გუნდები მონაწილეობდნენ.

საქართველოში გამართულ ევროპის 19-წლამდე ჩემპიონატზე, დასწრების რეკორდი საქართველო -ჩეხეთის მატჩზე დაფიქსირდა. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შეხვედრას 25 000 გულშემატკივარი დაესწრო.

ზურაბ დათუაშვილი

ლილე ემნაძე:

„მუსიკა აზროვნებაა, როგორც უკრავ, ისე აზროვნებ“

„მუსიკა არის კაცობრიობის საუკეთესო ენა.“
ჰენრი უოდსოუორთ ლონგფელო

მუსიკა აქტიურად ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე.მუსიკას შეუძლია კონკრეტულად და დამაჯერებლად გადმოსცეს ემოციური მდგომარეობა.ის გრძნობათა განზოგადებულ იდეებს გამოხატავს. და მაინც რა არის მუსიკა? - ალბათ, ამ კითხვაზე ყოველი ადამიანი სხვადასხვანაირად გვიპასუხებს, რადგან მუსიკა თითოეული ჩვენგანის ცხოვრების ნაწილია. ცხოვრება და მისი თანმდევი სირთულეები ყველას ჩვენი გვაქვს, ინდივიდუალური. ამიტომაა, რომ მუსიკა ყველასათვის სხვადასხვა რამაა,თუმცა ის ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

გაზეთის დღევანდელი სტუმარი სწორედ მუსიკის ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა, ჩვენი თანაქალაქელი, მომავალი პიანისტი **ლილე ემნაძე** გახლავთ. ლილემ ქუთაისის კერძო სკოლა "ქართული სკოლა" და მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი დაამთავრა. ამჟამად სწავლობს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლობს, II კურსზე, საშემსრულებლო ხელოვნების განხრით.კერძოდ - ფორტეპიანო.

ის 18წლისაა და ამ ხნის მანძილზე მრავალ კონკუსრსის მონაწილე და გამარჯვებულია. მათ შორის გამორჩეული იყო: 2013 წელს ნუნუ გაბუნიას სახელობის კონკურსზე, ქართული ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისთვის მიღებული პრემია და ლაურეატის წოდება; ასევე - მიწვევა კანარის კუნძულებზე გამართულ კონკურსზე და კვლავ ლაურეატობა; შემდგომ კი შვედეთის მეფე-დედოფლის მიწვევა სამეფო კარზე, ქალაქ სტოკჰოლმში, სადაც ფაქტობრივად, სოლოკონცერტი გამართა.

ამჟამად კი ლილეს მიღებული აქვს მიწვევა ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, 2 წლიანი სწავლა დაფინანსებით. თუმცა, ეს ყველაფერი არ არის ამ ახლგაზრდა დამწყები პიანისტის შესახებ. სწორედ ამიტომ ვთხოვეთ, თავად ეამბა ჩვენთვის მისი პირველი ნაბიჯებისა და წარმატებების შესახებ.

— ლილე, გვიამბე, როგორი იყო შენი კარიერის დასაწყისი?

_ ყველაფერი დაიწყო ბავშვობაში. დედამ შეამჩნია, რომ მუსიკისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა. მაშინ მოსკოვში ვცხოვრობდით და პირველი კონცერტიც იქ მქონდა 3 წლის ასაკში, ვმღეროდი. შემდეგ ჩამოვედით საქართველოში და 7 წლის ასაკში ჩავირიცხე ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში, საფორტეპიანოზე. პედაგოგში ძალიან გამიმართლა და ამიტომ მეხუთეკლასელმა უკვე გადაჭრით ვიცოდი, რომ ამ გზას უნდა გავყოლოდი.

— ვინ იყო შენი პირველი ფორტეპიანოს მასწავლებელი?

— ჩემი უსაყვარლესი პედაგოგი, რომელიც 11 წელი მზრდიდა, ქალბატონი **ლედა კანკავა.** ყველასთვის საპატივცემულო, მისაბაძი და საყვარელი პიროვნებაა. ის დიდი პედაგოგია, რომელმაც ფორტეპიანოს გარდა, ძალიან ბევრი რამ მასწავლა და რაც მთავარია, გზა დამანახა, რომელზეც გასული ვარ უკვე. არ დამავიწყდება, როგორი სიამოვნებით ვმუშაობდით, როგორ არ ზოგავდა თავს და მეც, რა თქმა უნდა. ყოველი გაკვეთილი შემოქმედებითი ზეიმი იყო. მინდა, წარმატებები ვუსურვო მთელი გულით მას და მის მოსწავლეებს.

— პირველი ემოცია და განცდა თუ გახსოვს,როდესაც აუდიტორიის წინაშე წარსდექი?

— ძალიან პატარა ვიყავი და ამიტომ არ მახსოვს. ალბათ, ვიღელვებდი. თუმცა დღეს ღელვა ნაკლებად მაწუხებს სცენაზე გასვლის წინ.

— ლილე, მაინც რა არს შენთვის მუსიაკა?

— ძალიან მოკლედ გეტყვით - ღმერთი, რომელსაც უნდა ვემსახურო და სულიერი საზრდო მივიღო, ნაცვლად მსახურებისა. მუსიკა აზროვნებაა. როგორც უკრავ, ისე აზროვნებ.

ლილე ემნაძე

— როგორ ფიქრობ, არის თუ არა კოსმიურ სამყაროსა და მუსიკას შორის კავშირი?

— რა თქმა უნდა, არის. მეტიც, არამარტო კოსმიურ, არამედ მთლიან სამყაროსთანაა კავშირში. მუსიკა ყველგანაა, ყველაში და ყველაფერში. მისი შექმნის პროცესი ზებუნებრივი პროცესია. არ შეიძლება, ასწავლო, როგორ იგრძნოს და შექმნას მუსიკა ადამიანმა. ეს ღმერთის ჩარევით ხდება.

— ვინ არის შენი საყვარელი კომპოზიტორი?

— არ მიყვარს ეს კითხვა, თუმცა მაინც მეკითხებიან. ყველა კომპოზიტორში არის რაღაც შესაყვარებელი. თუმცა, მოცარტს, შოპენს, შუმანის და სკრიაბინიას დავასახელებ. სხვა დროს რომ შემეკითხოთ იგივე, განსხვავებულად გიპასუხებთ, დარწმუნებული ვარ.

— შენს დარგში ქართველი შემსრულებლებიდან ვინმეს გამოყოფდი?

— ქართველი ერი ძალიან ნიჭიერი ერია. არც ამ დარგში ჩამოვუვარდებით ვინმეს და ძალიან კარგი თაობა იზრდება დღეს. დიდი შემსრულებლებიდან, რა თქმა უნდა, ელისო ვირსალაძეს დავასახელებდი.

— საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობის ეპიზოდებს ხომ არ გაიხსენებდი?

— მახსოვს არაჩვეულებრივი მასტერკლასები ხატია ბუნიათაშვილთან, ედიშერ რუსიშვილთან, ედიშერ სავიცკისთან, ვალერიან შიუკაშვილთან, ელისო ბოლქვაძესთან, უცხოელ პროფესორებთან... ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც გულწრფელი ემოციაა, რომლის შეცნობაც, ვფიქრობ, არ მეშლება. გავიხსენებდი შვედეთში დამეგობრებულ ფაუერების ოჯახს. ასევე - იქაურ პროფესორებს, რომლებიც იქ დარჩენას და სწავლას მთავაზობდნენ. და კიდევ უამრავი ბედნიერი სახე... მიყვარს ეს მომენტები.

— როგორც ვიცი, სხვა გატაცებაც გაქვს, წერ ჩანახატებს...

— ჩემს ჩანახატებს სხვა უფრო სერიოზულად უყურებს, ვიდრე - მე. ეს ჩემთვის, უბრალოდ, გასართობია. მიყვარს თეატრი, მხატვრობა, პოეზია და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ყოველთვის მინდოდა მსახიობობა.

— ნიუ-იორკიდან როგორ მიიღე მოწვევა? სად აღმოგაჩინეს?

— ვინაიდან კონკურსებზე ხშირად მიწევს გასვლა, ამერიკიდან მოწვევაც მისი ერთ-ერთი შედეგია. კონკურსის სათავეში გამოჩენილი ქართველი პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი იდგა. დანამდვილებით არ ვიცი, როდის წავალ მანჰეტენზე სასწავლებლად. ვფიქრობ, კონსერვატორია დავამთავრო და შემდეგ დავიწყო ფიქრი ამაზე. ძალიან რთულია ოკეანეს მიღმა მარტომ იცხოვრო და გაუძღვე ყველაფერს, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ამის დროც მოვა.

— სხვა, უახლოესი სამომავლო გეგმები როგორია?

— ბუნებრივია, ვაპირებ კონცერტებზე და კონკურსებზე გასვლას. სამუშაო ბევრი და ძნელია, მაგრამ სასიამოვნო.

— დიდი მადლობა, ლილე, საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებ.

— მადლობა თქვენ.

ესაუბრა
ნატო ყურაშვილი

საბას ფინალისტების ვინაობა ცნობილია

ლიტერატურული კონკურსის "საბა" ჟიურიმ წლევანდელი კონკურსის ფინალისტები დაასახელა. 300 კონკურსანტიდან ფინალურ ეტაპზე 47 წიგნი შეირჩა.

ამით დასრულდა ჟიურის მუშაობის პირველი, 5-თვიანი ეტაპი. სწორედ ამ 47 ფინალისტიდან გამოვლინდება და დაჯილდოვდება წლევანდელი გამარჯვებულები სექტემბერში, "საბას" რიგით მე-15 საზეიმო დაჯილდოებაზე.
საპრემიო ფონდი 52 000 ლარს შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს პრემია „საბას“ დამფუძნებელი, თიბისი ბანკი გადასცემს.
პრემია „საბა“ 11 ნომინაციაში გაიცემა. თითოეულ ნომინაციას ერთი გამარჯვებული ეყოლება, გარდა ნომინაციის „საუკეთესო დებიუტი“, სადაც, უკვე მეორე წელია, მკითხველებიც ჩაერთვებიან გამარჯვებულის არჩევაში და საკუთარ ფავორიტს გამოავლენენ. მნიშვნელოვანია, რომ 2-წლიანი პაუზის შემდეგ, წელს „საბა“ კვლავ გაიცემა საუკეთესო პიესისათვის.

ფინალისტთა სია

წლის საუკეთესო რომანი
აბო იაშალაშვილი-,,ძველი ტფილისის დამნაშავენი“(გამომცემლობა,-,ქოლგა“)

წლის საუკეთესო პროზაული კრებული
რეზო თაბუკაშვილი, „მესამე თვალი“ (გამომცემლობა „ინტელექტი“)

წლის საუკეთესო პოეტური კრებული
ლელა ცუცქირიძე, „წარმოიდგინე, ელისაბედ“ (გამომცემლობა „საუნჯე“)

წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი
გურანდა ფაჩულია, ჟოზე ლუიმ პეიშოტუს "გალვეიაში" (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა
გელა ჩარკვიანი, „ნაცნობ ქიმერათა ფერხული“ (გამომცემლობა „ინტელექტი“)



დათო ქარდავა, „მტაცებლები ურბანულ გარემოში“ (გამომცემლობა „ინტელექტი“)
ზურაბ კიკნაძე, „ხასიდური სიბრძნე“ (გამომცემლობა „ინტელექტი“)
ლევან ბერძენიშვილი, „წიგნიერების ევოლუცია“ (გამომცემლობა „არტანუჯი“)

წლის საუკეთესო თარგმანი
ლანა კალანდია, მარიო ვარგას ლიოსას „ვაცის ნადიმი“ (გამომცემლობა „ინტელექტი“)
ლელა დუმბაძე, ჰარპერ ლის "მიდი, დააყენე დარაჯი" (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
მანანა ღარიბაშვილი, რომაული ლირიკის მწვერვალები (გამომცემლობა „ლოგოსი“)

P.S.
მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵇ ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
— **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.**
გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**